ერთი გვარისა და მისი მფლოგელოგის პროგლემეგი[1]

უჩა ოქროპირიძე
ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის
უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
ელ-ფოსტა: ucha.okropiridze@bsu.edu.ge
ORCID: https://orcid.org/0000-0002-1696-0781
ასლან მახაძე
ეკონომიკის დოქტორი, ბათუმის
სახელმწიფო საზღვაო აკადემია
ელ-ფოსტა: a.makhadze@bsma.edu.ge
ORCID: https://orcid.org/0009-0000-2893-3724

აბსტარაქტი. ნაშრომში შესწავლილია ერთი საგვარეულოს (მანელიშვილების) და მათთან დაკავშირებული სხვა მფლობელების ისტორია. ამ გვარის სამფლობელოს საზღვრები ოსმალთა და შემდეგ კი, აქ რუსეთის ბატონობის დამყარების შემდეგ. განხილულია ვახტანგ მეექვსესთან ერთად მათი რუსეთში გადასახლების შედეგები და რუსეთის სახელმწიფოსთან დამოკიდებულებაში მათი ლოიალობის გამო მათ მიერ მოღვაწეობასა და სახელმწიფო სამხედრო კარიერაში განვლილი საკმაოდ წარმატებული გზა. მოცემულია მოკლე მიმოხილვა, თუ როგორ განვითარდა რუსეთის იმპერიის კარზე მოღვაწეობა საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდში და ამასთან, რას მიაღწიეს თავიანთ კარიერასა და საზოგადოებრივ სარბიელზე.

პარალელურად გამოკვლეული იქნა მათი მდგომარეობა საკუთარ სამშობლოში, სადაც მათ უეჭველ მფლობელობას, დღევანდელი ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე, შეექმნა ხელოვნური პრობლემები.

რუსთ მფლობელობის ბათუმის ოლქში გავრცელების შემდეგ, ოსმალთ მპყრობელობისას დამტკიცებული მიწების უცილო მფლობელობის საკითხი, თვით 1879 წლის სტამბოლის შეთანხმების რუს ჩინოვნიკთაგან დარღვევის გამო, სადავო გახა-დეს. აღნიშნული საგვარეულოს სხვა მათ თანამფლობელებთან ერთად სასამართლო პროცესებზე მოუწიათ საკუთარი უეჭველი მფლობელობის მტკიცება, და ეს მაშინ, როდესაც რუსული ადმინისტრაცია და ხელისუფლება მოქმედებდა მათთვის დამახასიათებელი უპრინციპო პრინციპით - „გეკუთვნის, მაგრამ არ გეკუთვნის!“ ამიტომაც, ეს სასამართლო დავები მოსარჩლეთათვის არც თუ დიდი წარმატებით დასრულდა. მათ თავიანი მიწების მხოლოდ ნაწილზე აღიდგინეს მფლობელობა.

ამ შედეგის დადგომაში, ალბათ, თავისი როლი შეასრულა 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომში ციხისძირის მისადგომებთან განცდილმა ორმა სამხედრო მარცხმა, რომელშიც ადგილობრივმა მუსლიმანმა ქართველებმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს.

რუსეთის ხელისუფლება ითვალისწინებდა რა ყველაფერ ამას, ცდილობდა ამ რეგიონში ისეთი პირობები შეექმნათ, რომ მის პრივილიგირებულ მაღალ ფენას საკუთარ მიწა-წყალზე თავი მტკიცედ არ ეგრძნო და მისთვის მოულოდნელი, ახალი პრობლემები არ შეექმნა.

საკვანძო სიტყვები: გვარის ისტორია, მანელიშვილები, რუსეთის იმპერია, კარიერა, ცხოვრება, მოღვაწეობა, პრივილიგირებული ფენა, ციხისძირი.

[1] მასალები აღებულია ემერიტუს-პროფესორის ასლან მახაძის პირადი საგვარეულო არქივიდან.

***

შესავალი. ერთი გვარის, მანელიშვილების ისტორია და მათი მფლობელობის პრობლემები ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიათა ისტორიაში, მეტად საინტერესო ასპექტებს შეიცავს, როგორც რუსეთის იმპერიაში მათი ცხოვრების ნირისა და კარიერისტული წარმატების, ისე რუსეთის იმპერიის დაპყრობილ ტერიტორიაზე გამოვლენილი ურთიერთ უნდობლობისა და ერთმანეთის მიმართ არა კეთილმოსურნე დამოკიდებულების თვალსაზრისით. აქ ჩვენ საქმე გვაქვს ორ სრულიად სხვადასხვა გარემოებასთან, რომლებიც აიძულებს სახელმწიფოსა და პიროვნებებსაც იმოქმედონ საკუთარ შეხედულებათა და მპყრობელური მეთოდების გამოყენებით.

მეთოდები. ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია შედარებითი და კრიტიკული ანალიზის მეთოდი, რომელთა მეშვეობითაც ვცადეთ თემის შინაარსის გახსნა და წარვმართეთ სათანადო თხრობა.

ჩვენს რეგიონში ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიის ბატონობის პერიოდში საკუთარი სამფლობელოები (მიწები) გააჩნდა რიგ წარჩინებულ გვარებს. დღევანდელი ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ერთ-ერთ ასეთ გვარს წარმოადგენდა მანველიშვილების საგვარეულო, რომლის შესახებ მოპოვებული მასალა წარმოგვიდგენს მეტად საინტერესო ისტორიულ ვითარებას, როგორც ოსმალთა ბატონობის, ისე რუსეთის იმპერიაში ამ მხარის მოქცევის შემდეგ. აღნიშნული მასალიდან ჩანს ამ იმპერიათა სულისკვეთება და ინტერესები მოცემულ რეგიონში საკუთარი მიზნების გატარების თვალსაზრისით, და მასთან დაკავშირებული მათ მიერ გატარებული ღონისძიებების ხასიათით, მხარეში საკუთარი იმპერიული მიზნების განსახორციელებლად;[23] მიზანი ორივე შემთხვევაში ერთი იყო – რეგიონში თავიანთი მფლობელობის განმტკიცება და გაძლიერება, ხოლო მის განსახორციელებლად გამოყენებული ღონისძიებანი და მეთოდები განსხვავდებოდა. სხვადასხვა იყო ასევე რუსეთის იმპერიის მესვეურთა დამოკიდებულება საქართველოდან რუსეთში მოხვედრილ და რუსეთის ერთგულ მსახურებად ქცეულ ქართველებზე და ადგილზე, საკუთარ სამშობლოში დარჩენილ პრივილიგირებულ წოდების წარმომადგენელთა მიმართ, რასაც რა თქმა უნდა, ვერ ასცდა ჩვენს მიერ ნაშრომში მოყვანილი საგვარეულოს წარმომადგენლებიც. მოპოვებული მასალიდან ირკვევა, რომ „მანველიშვილი (მანელიშვილი, მანველოვი) რუსეთში ქართველი თავადების წარმომადგენლებია, რომლებიც ნაწილი გადასახლდნენ რუსეთში ვახტანგ VI-სთან ერთად. ისინი წარმოშობით გურიიდან არიან, სადაც XIX საუკუნის შუა ხანამდე განაგრძობდა უტიტულოდ არსებობას (რუსეთში). გურიის თავად-აზნაურთა უმაღლესად დამტკიცებულ სიაში მოიხსენიება როდამ მანველიშვილის ქვრივი, მაგრამ მისი შვილები მასთან მოხსენიებული არ არიან. ზოგიერთი მონაცემებით თავად გურიაში მანველიშვილები მიეკუთვნებოდნენ „დიდაზნაურთა“, თავადაზნაურთა უმაღლეს კატეგორიას და თავისი მდგომარეობით ახლოს იყვნენ თავადებთან, მაგრამ თავადურ ღირსებაში მათი დამტკიცება მოხდა მხოლოდ რუსულ შტოში.

(В. Цихинский Кавказский гербовник Тавадские роды (рукопись), Петроградь, 1922 г. стр. 27: С. Думин, П. Гребельский Дворянские роды российской империи, изд. Ликоминвесть т. IV, М., 1998 г. ст. 171).

მათი წარმომავლობის მამამთავარი ნიკოლოზ ვახუშტისძე მანველოვი იწოდება გურიის თავადად ვახტანგ VI-ის 1725 წლის აგვისტოს სიგელში... თურქებთან ომში თავის გამოჩენის შემდეგ თავადის ტიტულით 1738 წელს მიიღეს რუსეთის სამსახურში. 1790 წლის 31 დეკემბერს მისი ქვრივი თავადის ქალი ელენე ნიკოლოზის ასული და მისი შვილები–საბოლოოდ აღიარებული იქნენ რუსეთის იმპერიის თავადთა ღირსებაში 1863 წლის 3 ივლისის სენატის ბრძანებით უმაღლესად დამტკიცებულ სახელმწიფო საბჭოს მიერ 1863 წ. 13 აგვისტოს სენატის ბრძანებით შეტანილი იქნენ პოლტავის, შემდეგ კი ეკატერინოსლავის გუბერნიათა გვართწარმომავლობის წიგნის V ნაწილში. სენატის 1869 წლის 2 აპრილისა და 1885 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილებით ამ გვარში ჩაირიცხნენ თავადები ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე და ალექსანდრე ნიკოლოზის ძე მანველოვები.

თავად მანველოვების გვარს არა აქვს რუსეთში უმაღლესად დამტკიცებული გერბი, მაგრამ ცნობილია მათი საგვარეულო გერბის გამოსახულება.

რუსეთში მოღვაწე ამ თავადური გვარის წარმომადგენლებმა მიაღწიეს უმაღლეს კარიერას, როგორც სამხედრო ისე სამოქალაქო სამსახურის დარგში და სახელმწიფოს უამრავი უმაღლესი ჯილდოებიც დაიმსახურეს, განსხვავებით საქართველოში დარჩენილი მათი თანამოგვარეთა წარმომადგენლებისა, რომელთაც აქ, ადგილზე დიდი ბრძოლით უწევდათ საკუთარი წარმომადგენლობითი ღირსებისა და სამფლობელოების დაცვა.

[რუსეთის სამხედრო სამსახურში მათ მიაღწიეს გენერალიტეტის უმაღლეს ხარისხს, ხოლო სამოქალაქო მრავალ არჩევით თანამდებობასთან ერთად გახდნენ რუსეთის სახელმწიფოს ნამდვილი საიდუმლო მრჩეველები და სხვ.] ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მანველოვი – 1816-1889 (გენერალ-ლეიტენანტი), ალექსანდრე ნიკოლოზის მანველოვი (კავალერიის გენერალი- ნამდვილი საიდუმლო მრჩეველი, საპატიო მეურვე) – [1824-6. 04-1906. 2. 04] 1. Манвеловы, энциклопедический словарь Брокгауза и Европа: в 86 м. (82 м. и 4 доп.). – СПБ., 1890-1907; 2. https: //ru.Wikipedia. org/ W/index. php? title=Манвелов, Александр Николаевич&oldid=123989427];

მანველოვი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე გენერალ-მაიორი 1867 წლის 23 ნოემბრიდან, ხოლო 1884 წლის 4 სექტემბრიდან გენერალ-ლეინტენანტი. 1855 წელს მიიღო ოქროს იარაღი 20 წლიანი წარმატებული სამხედრო სამსახურისათვის, 1860 წელს წმ. ანას II ხარისხის ორდენი, 1879 წელს წმ. ვლადიმირის III ხარისხის ორდენი და სხვ. [http//ru. hayazg. info %DO% 9C% Do% BO%DO% BO% DO% 82% DO% DO%85 DO% BO% DO%BE% DO%82% DO%9].

მანველოვი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე, რუსი მხედართმთავარი, კავალერიის გენერალი, მოქმედი ნამდვილი საიდუმლო მრჩეველი და საპატიო მეურვე. 1866 წლის 11 იანვარს მიიღო მორიგი სამხედრო წოდება გენერალ-მაიორისა, ხოლო 1876 წლის 30 აგვისტოს მიიღო გენერალ-ლეიტენანტის ჩინი.

რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის დაწყებისთანავე ა. ნ. მანველოვმა მე-12 არმიის კორპუსის შემადგენლობაში იასის და ბუქარესტის გავლით გაიჭრა დუნაისკენ და თავისი დივიზიის ჯარებით აკონტროლებდა ამ მდინარის 60 კილომეტრიან მონაკვეთს. მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მდ. დუნაის (ფორსირების) გადალახვისას და ბულგარეთის ტერიტორიაზე ჩაატარა მნიშვნელოვანი სამხედრო ოპერაციები, იქედან კი რუსეთის ჯარებთან ერთად შეიჭრა თურქეთში, რომელიც დატოვა მხოლოდ 1879 წელს. ამ სამხედრო წარმატებებისათვის ა. ნ. მანველოვი დაჯილდოვდა წმ. ვლადიმირის ორდენით მახვილითა და ოქროს იარაღით მამაცობისათვის.

1881 წელს ა. ნ. მანველოვი დაჯილდოვდა თეთრი არწივის ორდენით. 1885 წლის 30 აგვისტოს მიიღო კავალერიის გენერლის ჩინი და ჩაეწერა არმიის რეზერვში, შემდეგ კი გავიდა თადარიგში. 1887 წლის 1 აგვისტოს გაამწესეს პირადად მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის კანცელარიაში, იმპერატრიცა მარიას დაწესებულებებში და გადავიდა ნამდვილ საიდუმლო მრჩეველის წოდებაში. იყო პეტერბურგის თვალის საავადმყოფოს მზრუნველი და სხვა.

ა. ნ. მანველოვი ფლობდა ტამბოვის გუბერნიაში 1522 დესეტინა ფართობის მქონე მამულებს... წარმატებული მსახურებისათვის მიღებული ჰქონდა უამრავი ორდენები დაწყებული წმ. სტანისლავის III, II და I ხარისხის და წმ. ანას ორდენებიდან, ფილიპე დიდსულოვნ ჰესენელის I ხარისხის ორდენით დამთავრებული (სულ 13 უმაღლესი ხარისხის ორდენი).

[Манвеловы – Энциклопедический словарь Брокагауза и Ефрона: в 86 м. (82 м. и 4 доп.], СПБ, 1790-1907; Список генерал-адиутантом Свиты Его величество, генерал-майорам, флигель-адъютантам, и генералитета, состояниам при Особе его величества. Исправлено по 1 июня – СПБ; Военная типография, 1875.-С. 194; Ианайлов Э.Э. Золотое оружие с надписью «За храбрость». Списки кавалеров 1788-1913,-М., 2007, стр. 318: ЦТИФ СПБ. Ф. 19, оп. 123, д. 18;] წყარო: https: º ru. Wikipedia. org /W/indeks. php?).

title=Манвелов, Александр Николаевич& oldid=123989427. Манелов Александр Николаевич Википедия).

თავის სამშობლოში დარჩენილი მანელიშვილების სამფლობელო აღნიშნულია XVII საუკუნის გურიის სამთავროს ტერიტორიაზე დღევანდელი ქობულეთის მუნიციპალიტეტის მდ. კინტრიშისა და დეხვას ზღვასთან შეერთების მახლობელი ტერიტორიებიდან ზღვისპირეთში ციხისძირში (დღ. ბუკნარი) ნაჭიშკრევამდე და მდ. დეხვას სათავეებამდე. იგი მითითებულია 2016 წელს გამოცემულ „საქართველოს ისტორიული ატლასის“ (საქ. მეცნ. ეროვნული აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის კომისია, მეორე, შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2016, 2016:46), 46-ე გვერდზე). ხოლო ხსენებული რეგიონის რუსეთის მიერ დაპყრობის შემდეგ თუ რა ბედი ეწია ამ მიწებზე მათ მფლობელობას, გადმოცემულია კავკასიის სამხედრო ოკრუგის, ბათუმის ოლქის, კინტრიშის უბნის უფროსის 1882 წლის 30 სექტემბრის N 1538 პატაკში.

მასში ნათქვამია: „ამ პატაკით სამხედრო გუბერნატორისათვის მოხსენების მიხედვით მისმა უდიდებულესობამ ბრძანა დატოვებულ იქნას მანელ-ოღლების (მანელიშვილებისა –ავტ.) და ბააკ-ოღლების (ბაკურიძეების–ავტ.) სარგებლობაში მხოლოდ ის მიწები იმათგან, რომელზეც მათ პრეტენზია გააჩნიათ, რომლებიც იმყოფებოდა ფაქტიურ მფლობელობაში და ჩამოთვლილია ამ პატაკის მე-4 პუნქტში (თურქული კონონმდებლობით, რომლითაც ამ შემთხვევაში რუსეთის ხელისუფლება სარგებლობდა, 20 წელიწადს დაუხნავ-დაუთესავი და გამოუყენებელი მიწები გადადიოდა სახელმწიფო ხაზინის საკუთრებაში – ავტ.) ხოლო მთელი დანარჩენი მიწა და ტყეები ჩაითვალოს სახაზინოდ და მათ მოეპყრან ამ საგანზე არსებულ განკარგულების თანახმად, ანუ გაიცეს დრომდე იჯარით.

საქმის ვითარებაში უკეთ გარკვევის მიზნით უფრო ღრმად გავეცნოთ აღნიშნული პატაკის შინაარსს.

ბატონ ბათუმის ოკრუგის უფროსს პატაკი

23 სექტემბრის N 2200 მოწერილობაზე გაცნობებთ: 1) რომ 1772 წ. სულეიმან მანელ-ოღლის სახელზე გაცემულ დოკუმენტში გაურკვევლად აღნიშნული საზღვრები, (იგულისხმება სულეიმან ბეგზე 1772 წ. გაცემული და სულთან აბდულ ჰამიდ ხანის მიერ დამტკიცებული დოკუმენტი – ავტ.) მისმა შთამომავალმა, ფერად მანელ-ოღლიმ მიუთითა ამგვარად,– ამჟამინდელი ნაჭიშკრევის საგუშაგოდან მიჯნა მიდის მდინარე შუაღელეზე (მდ. დეხვას შენაკადი მარცხენა მხრიდან) გადის დეხვასთავის ადგილზე (თითქმის ერთი ვერსით მაღლა ბობოყვათის მეჩეთზე), ეკალდიდის მთამდე, შემდეგ ხელისფთის, ქვაკვერცხისა და სკურდას მთამდე (სოფ. კვირიკესთან ახლოს), ხოლო შემდეგ, მანელიშვილების მამულის საზღვარია ჯერ ბიასამეთის ღელე, რომელიც ასევე, სოფელ ბობოყვათის და სოფელ კვირიკეს საზღვარია. - შემდეგ ბიასამეთის ღელე, ჩაედინება მდინარე კინკიშაში. მდინარე კინკიშა წარმოადგენს მანელიშვილების მამულის საზღვარს ჩრდილოეთით (ის მდინარე კინტრიშის შენაკადია). თუმცა მანელიშვილების და სხვების მამულები დასავლეთით არ სრულდება ადგილით, სადაც მდინარე კინკიშა იცვლის მოძრაობის მიმართულებას კინტრიშთან შესაერთებლად. ამ ადგილიდან მანელიშვილების მამული გრძელდება ზღვისკენ (რკინიგზისკენ) რესულ-ოღლების მიწის საზღვრამდე, რკინიგზის ხიდთან ახლოს. აქ მთავრდება მანელიშვილების მამულის საზღვარი ჩრდილოეთით და აქედან მარცხნივ იწყება მანელიშვილების და ბაკურიძეების მამულის საზღვარი დასავლეთით ჯერ მდინარე დეხვამდე, ჩურუქ-სუს ადგილამდე და დეხვას გავლის შემდეგ ნაჭიშკრევამდე. დეხვასთან მისვლამდე ამ მამულის დასავლეთის საზღვარია რკინიგზა, ხოლო დეხვადან ნაჭიშკრევამდე ზღვის ნაპირი. ამ სივრცეს კინკიშადან ნაჭიშკრევის საგუშაგომდე უკავია დაახლოებით „8 ვერსი; ხოლო ამ საგუშაგოდან მდ. სკურდამდე – 9 ვერსი და შეიძლება შედგებოდეს 8-10 ათასამდე დესეტინა მიწისაგან; 2) ამ ნაკვეთის ნახევარზე პრეტენზიას

აცხადებს მანელ-ოღლები, ქემურ მანელ-ოღლი, ომან ულფანი, ხუსეინი და ასლან მანელ-ოღლი. აღნიშნული ნაკვეთის მეორე ნახევარი (25%-25%) დასახელებული დოკუმენტების საფუძველზე ამჟამინდელი მანელ-ოღლების წინაპრებმა გადასცეს ზარალი-ოღლისა (მიქელაძე–ავტ.) და ბააკ-ოღლების (ბაკურიძე – ავტ.) გვარს, რომელთაგან თითეული თავს თვლის აღნიშნული მამულის მფლობელობის თანამონაწილედ. გარდა იმისა, ფირცხალაურის ადგილზე 12 დონუმიანი ≈1 დესეტინა – ავტ.) სახნავ მიწაზე პრეტენზიას აცხადებდა ახმედ სამბაშ-ოღლი (ლორთქიფანიძე–ავტ.), რომელმაც მიწა საჩუქრად მიიღო ერთ-ერთი მანელ-ოღლისგან. ეს გვარი (მანელ-ოღლი – ავტ.) თავს თვლიდა რა, მიწების ასეთი დიდი რაოდენობის მფლობელად, ურიგებდა მათ ასევე სხვა მეზობელ მცხოვრებლებსაც, რომლებიც ადგილ-ადგილ ასუფთავებდნენ რა ტყეებს, ამზადებდნენ სახნავ მიწებს... 4) ჩემს მიერ შეკრებილი ცნობების პატაკის ავტორი ჩინოვნიკი აღნიშნავს; თურქეთის მთავრობამ 1864 წელს ციხის-ძირის მაღლობებზე დაასახლა რუსეთიდან გამოსახლებული აფხაზთა 60-მდე ოჯახი, რომლებმაც, იქ 1877 წლამდე (ანუ რუსეთ-თურქეთის 1877-1978 წლების ომამდე – ავტ.) იცხოვრეს. თავად მოამზადეს ტყისგან სახნავი საყანეები და ამისთვის აშარს უხდიდნენ თურქეთის მთავრობას და იჯარით არ იღებდნენ მანელ-ოღლების გვარისგან, რის გამოც ეს უკანასკნელნი ჩიოდნენ კიდეც...“ მათგანვე მიწების ნაწილი გაცემულია გვარიდან გათხოვილი ქალების მზითევში (К. В. О. Батумский область начальник Кинтришского участка, 30 ноября 1882 г. № 1538).

ამ პატაკის საფუძველზე სამხედრო გუბერნატორმა, მისმა მაღალკეთილშობილებამ ინება ებრძანებინა, რომ მანველ ოღლების და ბააკ ოღლების სარგებლობაში დაეტოვებინათ მათგან მოთხოვნილი მხოლოდ ის მიწები, რომლებსაც ისინი ფაქტობრივად იყენებდნენ და აღრიცხულია ამავე პატაკის მე-4 პუნქტში, ხოლო მთელი მიწები და მათთან ერთად ტყეები ჩაითვალოს სახაზინოდ და მათ მიმართ მოვიქცეთ გაცემული განკარგულების თანახმად, ანუ გარკვეულ დრომდე გაიცეს იჯარით (იქვე, პირველი პირი წარმოდგენილია თბილისის სასამართლო პალატაში 1900 წლის 19 ოქტომბერს). დოკუმენტის თანახმად მანელიშვილებმა მიიღეს მათი კუთვნილი მიწების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი (როგორც ირკვევა 202 დესეტინა მიწის ფართობი). ამ უსამართლო გადაწყვეტილების გამო მათ მიმართეს და სცადეს სასამართლოს გადაწყვეტილებით აღედგინათ სამართლიანობა. მაგრამ ამ საკითხზე მათი საჩივარი არა ერთგზის იქნა უარყოფილი სასამართლო უწყებათა მიერ (Д. № 316, 1906 г. ст. 1, Протоколь заседания 1906 года сентября 18-го дня, Кутайский Окружный судь, в публичном заседании, по Грожданскому отделению Д. № м316 1906 г. 1906 года сентября 18го дня, по указу его Императорского величества, Кутайский Окружной судь, по гражданскому отделенью, в составе:

Товарищ: председатель: М. Н. ниꙗолслкꙗ

Членов суда У.М. Нивинский, помощ. мир судыи Р. И. Шашнов)

Прокурор Н. А. Толпило

Секретар: Н. А. Ахведиани

... ასეთმა ვითარებამ „ისინი იძულებული გახადა შუამდგომლობით მიემართათ ბატონ მინისტრისათვის აღნიშნული მიწების დაბრუნებასა და მათზე წინანდელი უფლებების აღდგენაზე (Акть 1903 года октября 4 дня), რომელსაც ხელს აწერდნენ ფერად აღა მანელ-ოღლი და რამიზ მანელ-ოღლი, აგრეთვე მთხოვნელები: ქემალ აღა მანელ-ოღლი, ხუსეინ მანელ-ოღლი, ყასუმ ყადი-ოღლი, დურსუნ ზარალ-ოღლი, რეჯებ ბააკ-ოღლი, ოსმან მანელ-ოღლი. ტყის მცველები (მეთვალყურენი) (ქართულად), სულეიმან ჭყონია, თან ესწრებოდა თავადი, არჩილ გრიგორის-ძე აბაშიძე, სოფელ ბობოყვათის მამასახლისი (ქართულად), მიწის კოლეგიის ასესორი პ. ლიპინსკი (იქვე).

მაგრამ რუსეთის იმპერიის მიერ ბათუმის ოლქსა და საერთოდ, სამუსლიმანო საქართველოში გატარებული საადგილმამულო პოლიტიკის სრულყოფილად აღქმისათვის, საჭიროდ დავინახეთ

უფრო კონკრეტული მასალის განხილვა და მისი თანმიმდევრული ანალიზი, რომელიც კარგად დაგვისურათებს აქ გატარებული ღონისძიებების მიზნებსა და მიმართულებას. ამისათვის საჭიროა უფრო ღრმად და შინაარსობრივად განვიხილოთ ამ საკითხებთან დაკავშირებული ვითარება, რომელსაც აქ ქმნიდნენ მოქმედი რუსული სასამართლო უწყებები. ამიტომაც მოგვიწევს მათი ფართოდ წარმოჩენა ნაშრომში და მათზე დაყრდნობით სათანადო დასკვნების გაკეთება.

დავიწყოთ 1906 წლის 24 მაისის ქუთაისის სამხარეო სასამართლოს სამოქალაქო განყოფილების სხდომის ოქმიდან, რომელსაც წარმართავდნენ შესაბამისი მაღალი დონის ჩინოვნიკები. მასში გადმოცემულია: „მოსამართლემ, გახსნა რა სხდომა, გამოაცხადა, რომ სასამართლომ დაიწყო მოსმენა ფერათ-აღა და რამიზ აღა, ხუსეინ აღა ოღლი მანელ-ოღლების, დურსუნ ხუსეინ ზარალ-ოღლის და სხვათა ხაზინისადმი საჩივრისა, მამულის ფაქტობრივი მფლობელობის აღდგენის თაობაზე.

სასამართლოს სხდომაზე მომჩივანთა მხრიდან გამოცხადდა მათი რწმუნებული, – ნაფიცი რწმუნებული ვ. გ. მაჩაბელი და აღნიშნულ საქმეზე სასამართლოს წევრ ა. ა. კრასოვსკის განუმარტა, რომ მომჩივანები, როგორც ბათუმის ოლქის კინტრიშის უბნის სოფ. ბობოყვათის ადგილობრივი მცხოვრებნი, დიდი ხანია, ჯერ კიდევ თურქთა ბატონობის დროიდან ფლობენ და სარგებლობდნენ სადავო ნაკვეთებით. მათი მფლობელობა და სარგებლობა გამოიხატებოდა იმაში, რომ ისინი ხნავდნენ ნათესებისათვის მიწას, სარგებლობდნენ ნარგავებით, ტყით, ასევე იყენებდნენ საძოვრებად. მსურველებს აძლევდნენ არენდით სათესად და ტყისაგან გასაწმენდად. ასეთი მფლობელობა და სარგებლობა გრძელდებოდა 1897 წლის მარტამდე. ამ წელს ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო ქონების სამმართველომ, თავისი ბათუმელი მეტყევის მარკოვიჩის სახით, უკანასკნელმა თავისი ზედამხედველების მეშვეობით დაეუფლა სადავო ნაკვეთებს, გაყარა მათი მეიჯარეები ნაკვეთიდან და აუკრძალა მათ ამ ნაკვეთით ყოველგვარი სარგებლობა. სადავო ნაკვეთის ასეთმა უკანონო მითვისებამ რწმუნებული მაჩაბელი შეაშფოთა და იძულებული გახადა დაეწყო საქმე, ადგილზე მოეხდინა მოწმეების დაკითხვა სადავო ნაკვეთების შესახებ... სასამართლომ დაამტკიცა 1905 წლის შუამდგომლობა და მოხდა მხოლოდ დათვალიერება და მოწმეთა გამოკითხვა. დათვალიერების აქტის საფუძველზე სასამართლო დარწმუნდა, რომ მოწმემ წარმოადგინა სადავო ნაკვეთი საჩივარში მითითებულ საზღვრებში... ყველა მოწმემ ფიცის ქვეშ... 21 კაცი, ერთიანად უჩვენა, რომ სადავო ნაკვეთი ეკუთვნოდათ მანველ-ოღლებს (მანველიშვილებს – ავტ.), ფლობდნენ და სარგებლობდნენ მათი შთამომავლები. ისინი იყვნენ სრული მეპატრონენი ნათესებისა, ბუჩქნარისა და ტყისა, თავად სარგებლობდნენ და არენდით გასცემდნენ მიწებს. თავადაც ფართოდ იყენებდნენ თავიანთი საჭიროებისათვის, ამასთან ყიდდნენ კიდეც. ხაზინამ მიითვისა ეს ნაკვეთი თავისი ზედამხედველების მეშვეობით, რომლებმაც გამოყარეს მომჩივანეები და მათი მეიჯარეები ნაკვეთიდან და აუკრძალეს მისით სარგებლობა.

ამ სახით მოწმეებმა დაამტკიცეს ერთი უდავო ფაქტი, მომჩივანთა მიერ მფლობელობა და სარგებლობა სადავო ნაკვეთისა, მეორე მხრივ კი – ამ მფლობელობისა და სარგებლობის დარღვევა ხაზინის მხრიდან. სხდომამ გაითვალისწინა რა ეს (ვითარებანი) გარემოებანი, რომლებიც აუცილებელი იყო საქმის გამოსარკვევად მფლობელობის ფაქტიური დარღვევისას, ამიტომ თავადმა მაჩაბელმა მოითხოვა, პატივი სცენ მომჩივანთა მოთხოვნებს და მიანიჭონ უფლება მოითხოვონ ხაზინის მიერ ზარალის ანაზღაურება, მისი უკანონო მფლობელობის გამო და ხაზინას დააკისრონ სასამართლოს წარმოებისათვის გაწეული ხარჯები, გადაწყვეტილება კი წინასწარ აღსრულებაში მოიყვანონ.

პროკურორის ამხანაგს საჭიროდ მიაჩნია აღნიშნულ გარემოებათა გამო საჩივრის დაკმაყოფილება. ამ სხდომის შესახებ სასამართლომ დაადგინა: „ამ საქმეზე რეზოლუციის გამოქვეყნება გა-

დაიდოს 31 მაისისათვის“. პიროვნება, რომელიც თავმჯდომარეობდა მას, გამოაცხადებს საჯა-როდ“–აღნიშნულია სხდომის ოქმში.

როგორც მასალებიდან ჩანს, მიტაცებული მამულის მფლობელობის საკითხი სასამართლოში 21 მოწმისა და სხვათა ჩვენებების თანახმად მათი მეპატრონეების სასარგებლოდ გადაწყდა, მაგრამ რუსეთის სახელმწიფო ხაზინამ ყველა ღონისძიება იხმარა მის გასაუქმებლად და მასზე სახელ-მწიფო ხაზინის მფლობელობის აღსადგენად, რასაც მოწმობს იმავე წლის 18 სექტემბრის გამოხ-მაურება ხაზინისა აღნიშნული მამულის მფლობელობის დარღვევის აღდგენის შესახებ, რომელიც მოხდა ზუსტად 1906 წლის 24-31 მაისის სასამართლო დადგენილებით. მასში აღნიშნულია, რომ „საოლქო სასამართლო ითხოვს ზემოთ აღნიშნულ სასამართლოს გადაწყვეტილება ჩაითვალოს უმოქმედოდ (გაუქმებულად) და საქმე დავაბრუნოთ თავიდან განსახილველად.

ხაზინის წარმოდგენილი საჩივრის უარყოფად გთხოვთ განიხილოთ ქვემოთ ჩამოთვლილი შემდეგი გარემოებანი:

მომჩივანნი ცდილობენ საჩივრის გზით აღიდგინონ დარღვეული მფლობელობა და ამოიღონ ხაზინის მფლობელობიდან მიწის ნაკვეთები ფართობით ათეულობით დესეტინა.

უპირველეს ყოვლისა გთხოვთ განიხილოთ მოსაზრება საკითხზე, აქვთ თუ არა უფლება ამ საჩივრისა?

მე ვამტკიცებ, რომ ასეთი უფლება მომჩივანთ არ გააჩნიათ!..

თუ კი დავუშვებთ, თუნდაც ვარაუდის სახით, რომ მომჩივანთა მფლობელობის ფაქტი დამტ-კიცებულია სადავო ნაკვეთზე, ეს მფლობელობა, როგორც წარმოშობილი მისი მფლობელის, ხა-ზინის თანხმობის გარეშე, არ შეიძლება ჩაითვალოს არსებულ კანონიერ საჩივრად.

რომ მომჩივანთა მფლობელობა, თუკი დროებით დავუშვებთ მის არსებობას, ხაზინისაგან იყო დამოკიდებული, რაც მტკიცდება შემდეგი ფაქტებით:

1) მომჩივანები არ უარყოფენ და არც შეუძლიათ უარყონ ხაზინის ამ სადავო ნაკვეთზე საკუთ-რების უფლება.

2) უდავოა ის ფაქტიც, რომ მოპასუხენი მიეკუთვნებიან სოფელ ბობოყვათის დამოკიდებული წოდების მოსახლეობის და სახაზინო მიწით სარგებლობას ეწევიან თუ, როგორც საზოგადოების იმავე წოდების სხვა წარმომადგენლები, სოფლის საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისად, ასრუ-ლებენ დადგენილს ვალდებულებას ხაზინის სასარგებლოდ, რა ვითარებითაც გამორიცხულია დამოუკიდებლობის ნიშნები მომჩივანთა მფლობელობაზე... (ჯერ თვითონ შექმნა პირობები, მერე კი მსჯელობს მათ მიხედვით - ავტ.).

3) სადავო ნაკვეთი წარმოადგენს ტყეს. ბათუმის ოლქში ახლა მოქმედი თურქული კანონმდებ-ლობის მიხედვით ტყის სივრცე წარმოადგენს ხაზინის უცილობელ საკუთრებას.

4) თუნდაც დავუშვათ, ისევ ვარაუდის სახით, რომ მომჩივანენი ფლობდნენ სადავო ნაკვეთს, მათი მფლობელობა შეიძლება წარმოშობილიყო მხოლოდ „ერაზი-მირეის“ უფლებით (შეზღუდუ-ლი მფლობელობა). ასეთი უფლება გამორიცხავს დამოუკიდებლობის ნიშნებს მომჩივანეებისა ხაზინიდან მათი დამოუკიდებლად მფლობელობის არსებობისა... თუნდაც მფლობელობის შემთხ-ვევაში ასეთ ვითარებაში გამორიცხულია მფლობელობის აღდგენა საჩივრის საშუალებით.

...ვთხოვ სამხარეო სასამართლოს საჩივარი ფაქტობრივი მფლობელობის შესახებ მომჩივან-თათვის უარყოფილი იქნას და მიესაჯოს მათ საქმის წარმოების ხარჯები ხაზინის სასარგებლოდ (1906 წ. Кутайский окружной судь… отзив на Заочной решение).

საქმის ასეთმა გაგრძელებამ, რა თქმა უნდა, მომჩივანები არ დააკმაყოფილა და 1907 წლის 2 მაისს კვლავ გაიმართა აღნიშნული საჩივრის განსახილველად ქუთაისის სამხარეო სასამართლოს მორიგი სხდომა, რომელიც ნამდვილი მაგალითია რუსეთის იმპერიაში გავრცელებული სასამართ-

ლო წარმოების ტენდენციისა კავკასიაში და კერძოდ, ბათუმის ოლქისადმი დამოკიდებულებაში. მის ოქმში იშლება შემდეგი სურათი:

„თავმჯდომარემ გახსნა სხდომა და განაცხადა, რომ სასამართლო შეუდგა საქმის მოსმენის ფერათ აღა და რამიზ აღა ხუსეინ-აღა-ოღლი მანელ-ოღლის, დურსუნ ხუსეინოვი ზარალ-ოღლის და სხვების საჩივრის ხაზინისადმი ფაქტობრივი მამულის მფლობელობის დარღვევის აღდგენის შესახებ.

სასამართლოს სხდომაზე გამოცხადდნენ: მომჩივან მანელ-ოღლების რწმუნებული და სხვები. ნაფიცი რწმუნებული მაჩაბელი და სახელმწიფო მმართველობის წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიის ქონების სამმართველოდან, რომელმაც წარმოადგინა თავისი უფლებამოსილების საბუთი N7573.

საქმის ვითარების მოხსენებისას სასამართლოს წევრ შაგინოვს რწმუნებულმა მაჩაბელმა განუმარტა: უპირველეს ყოვლისა, სანამ დავიწყებთ ხაზინის მოწმეების ჩვენების შეფასებას, ის საჭიროდ თვლის სასამართლოს ყურადღება შეაჩეროს საკითხებზე და დებულებებზე, რომლებიც ამ საქმის გარემოებებიდან გამომდინარეობს. ეს გაადვილებს სასამართლოს თავის ამოცანას ამ საქმის გადაწყვეტაში, სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილების გაგებაში. ამ საქმეში მთავარი და არსებითი საკითხი მდგომარეობს იმაში, რომ საერთაშორისო სამართლის ძირეული საწყისისა და 7 ი. პუნქტით 1879 წლის კონსტანტინეპოლის შეთანხმებით, ქონებრივი (დავა) უფლებები რუსეთთან შეერთებული მოსახლეობისა ბათუმისა და ყარსის ოლქებში რჩება ხელშეუხებელი და შეურყეველი. ეს შეხედულება გატარებულია კავკასიისათვის გამოცემულ ბრძანებაში, არმიისა და კავკასიის მხარისადმი, 1879 წლის 3 თებერვლის განკარგულებაში, რომლის ასლი წარმოდგენილი იქნა წინა სხდომაზე თვით სახელმწიფო ქონებისა და მიწების სამმართველოს უფროსის მიერ. 38-ე პარაგრაფში ბრძანებისა ნათქვამია, მიწის საკუთრების უფლებათა გარკვევამდე ბათუმისა და ყარსის ოლქებში ადგილობრივ მცხოვრებთა მიწათსარგებლობა დარჩება მისი ახლანდელი სახით.

აქედან გამომდინარე ცხადია, არავის აქვს უფლება დაარღვიოს ის საკუთრების უფლებანი ბათუმისა და ყარსის ოლქების მცხოვრებთა, რომლითაც ისინი სარგებლობდნენ თურქეთის მმართველობის დროს, ვიდრე არ გადაწყდება საერთოდ მიწის საკითხი ამ ოლქებში.

ერთ-ერთი გავრცელებული სახე მიწათმფლობელობის და სარგებლობისა ბათუმის ოლქში იყო „ერაზი-მირეის“ უფლება, რომელ უფლებაზეც როგორც განაცხადა ხაზინის წარმომადგენელმა თავის „გამოხმაურებაში“ (განცხადებაში), შეუძლიათ ფლობა მანელ ოღლებსაც. ახლა, საკითხავია, რაში მდგომარეობს „ერაზი-მირიეს“ უფლება. იყო ის, როგორც ხაზინის რწმუნებული განმარტავს, ხაზინაზე დამოკიდებული, თუ წარმოადგენდა დამოუკიდებელ უფლებას, რომელიც ეკუთვნის მხოლოდ მიწის მფლობელს.

„ერაზი-მირიე“ იყო მუდმივი მფლობელობისა და მემკვიდრეობით სარგებლობის უფლება, მიწათსარგებლობისა. თუმცა „ერაზი-მირიე“ თარგმანში ნიშნავს სახელმწიფო მიწას, ხაზინის მიწას, მაგრამ ეს სახელი აიხსნება თურქის თეოლოგიური შეხედულებით საერთოდ საკუთრებაზე. ყურანის მოძღვრებით, ყველაფერი ღმერთს ეკუთვნის, ხოლო მიწაზე, მის მოადგილე წინასწარმეტყველს – იმამს, სულთანს. სწორედ ამგვარად მიწები ეკუთვნის სულთანს. მაგრამ ეს მხოლოდ ფიქციაა, აგებული რელიგიურ საფუძველზე. თავისი შინაარსით „ერაზი-მირიე“ პასუხობს ჩვენი საკუთრების უფლებას. მას ჰქონდა ყველა ატრიბუტი საკუთრების უფლებისა: ფლობის უფლება, სარგებლობის უფლება, განკარგვის უფლება. ის თაობიდან თაობაში მემკვიდრეობით გადადიოდა და არავის შეეძლო ამ უფლების დარღვევა, გარდა სახელმწიფო და საზოგადოებრივი აუცილებლობის ექსპროპრიაციისა. ეს უფლება შეიძლებოდა ფლობის ხანგრძლივობითაც, როგორც ეს გათვალისწინებულია მრავალრიცხოვან საბუთებში, რომლებშიც აღნიშნულია, რომ მიწა შეძენილია დიდი ხნის მფლობელობით. აი, ამიტომ ერაზი-მირიე“ არ შეიძლება გავუთანაბროთ ჩვენს

სახაზინო მიწებს, რომლებიც იმყოფებიან ხაზინისადმი სრულ დამოკიდებულებაში. ის შეიძლება, დარღვევის შემთხვევაში აღდგენილი იქნას (საზოგადოებრივი) წოდებრივი საჩივრით, როგორც ეს სამართლიანად ცნო სამხარეო სასამართლომაც, დაუშვა რა მოწმეების დაკითხვა.

როგორც გარემოებებიდან ჩანს, საქმე მანელ-ოღლების მფლობელობისა არის მუდმივ მემკვიდრეობითი მფლობელობისა და სარგებლობისა სადავო ნაკვეთისა 1897 წლამდე. 1897 წელს ქუთაისის გუბერნიის ქონების მართვის სამმართველომ, თავისი საკუთარი მეტყევე მარკოვიჩისა და მისი ზედამხედველების სახით, დაარღვიეს ეს მფლობელობა, გამოყარეს მანელ-ოღლები ნაკვეთიდან და არ დაუშვას მათ მიერ აღნიშნული მამულით სარგებლობა. ასეთმა დარღვევამ გამოიწვია ამ საქმის აღძვრა. ადგილობრივმა დათვალიერებამ, როგორც მომჩივანთა და ხაზინის მოწმეთა დაკითხვამ დაადგინა ეს დარღვევა. ხაზინა თავის მხრივ არ უარყოფდა სადავო ნაკვეთით მანელ-ოღლების მფლობელობას, 1903 წლის 4 ოქტომბრის აქტის მიხედვით, რომელიც შეადგინა მიწის სამმართველოს მზომელმა ლიპინსკიმ და მიუთითებდა დაკითხვისას თავის მოწმეებზე, ხაზინის 3 მეტყევეზე (მეთვალყურეზე). 1903 წლის ოქტომბრის აქტი არაფერს არ ამტკიცებს. იქ ლაპარაკია, რომ სადავო ნაკვეთზე გაცხადებულია მანელ-ოღლების პრეტენზია და მათთან ერთად ჩამოთვლილია სხვა სავარაუდო მფლობელებიც. აღმოჩნდა, რომ ყველა მათგანმა თავიანთი ნაკვეთები შეიძინეს მანველ-ოღლებისაგან. ეს გარემოება აშკარად მიუთითებს, რომ ყველა სადავო ნაკვეთი „ერაზი-მირიეს“ უფლებით ეკუთვნით მანელ-ოღლებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორ მიჰყიდიდა ალი ბეგ ჩიჯავაძეს, გიორგი დავიდოვს, პოლკოვნიკ სოლოვცოვს. ლიუბოვსკის – ამ ნაკვეთის ნაწილებს. არც ხაზინის მოწმეებს ახალი არაფერი არ უთქვამთ. ყველა მათ დაამტკიცეს ის ფაქტი, რომ 1897 წლიდან სადავო ნაკვეთებს იცავდნენ მეტყევეები, რასაც მანელ-ოღლები არ უარყოფენ, რომ მათ ზედამხედველებს დაცვამდე მათ გაუგონიათ, რომ ის ეკუთვნოდა მანელ-ოღლებს; რომ მანელ-ოღლები ცდილობდნენ ესარგებლათ სადავო ნაკვეთით და რომ ისინი (მეთვალყურეები– ავტ.) მათ ამაში ეწინააღმდეგებოდნენ – აღნიშნულია სასამართლო ოქმში. შემდეგ კი იქვე ნათქვამია:

„აქედან გამომდინარე მოწმეებმა დაამტკიცეს ყველაფერი ის, რასაც ამტკიცებდნენ მანელ-ოღლები. ყველაფერ ამის გამო თავადმა მაჩაბელმა მოითხოვა პატივი ეცათ სასაჩივრე მოთხოვნებებისათვის, სასამართლო საქმის წარმოების ხარჯები დაეკისრებინათ ხაზინისათვის, ამასთან დაამატა, რომ 1882 წლის მოხსენებას არ შეიძლება აღნიშნული საქმისათვის რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს, რადგანაც, პირველი – სამხედრო გუბერნატორს არავითარი უფლება არ ჰქონდა კერძო პირის ქონების განკარგვისა, ამისათვის დანიშნული იყო სამიწათმომწყობო კომისია, რომელმაც გაარკვია და განსაზღვრა ადგილობრივი მოსახლეობის უფლება მათ მიერ დაკავებულ მიწაზე და, მეორეც, – ამ ნაკვეთებს არავითარი კავშირ-ურთიერთობა არა აქვთ სადავო ნაკვეთთან, აქ წარმოებს საკითხი დარღვეული მფლობელობის აღდგენის შესახებ“.

აქ ყველაფერი დღესავით ნათელია და მანელ-ოღლების მფლობელობის უფლება არავითარ ეჭვს არ უნდა იწვევდეს. ამასთან, სასამართლოზე „უფლებამოსილმა ლიურიმ განმარტა, რომ ის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მოხსენებას,... რომლიდანაც ჩანს, რომ მოსაჩივრეებზე დათმობილ იყო და 1882 წელს მათზე აღიარებული იქნა 75 დესეტინაზე ნაკლების ფლობის უფლება, ეს უფლება მართებულად იქნა ცნობილი სამხედრო გუბერნატორის მიერ, ასე რომ მიწაზე უფლების განსაზღვრა გადაეცა ადმინისტრაციას, და თუ მომჩივანნი უკმაყოფილო დარჩნენ ამ გადაწყვეტილებით, მათ უნდა მიემართათ სასამართლოსთვის. შემდეგ მანვე განუმარტა, რომ სადავო ფართობი საერთოდ არ შედიოდა მითითებულ 75 დესეტინას ფარგლებში და ამის დასადგენად მოითხოვა მოეხდინათ ადგილობრივი დათვალიერება, და თუ დათვალიერებას შეხვდება სიძნელეები საზღვრების გაურკვევლობის გამო, რომელიც მითითებულია 1882 წლის მოხსენებაში, მაშინ ეს უნდა დამტკიცდეს რამდენიმე ადგილობრივი ძველი მაცხოვრებლის მიერ: ამის საფუძველზე გთხოვთ მოსაჩივრეებს სარჩელზე უარი ეთქვათ.

პროკურორის ამხანაგს მიაჩნდა, რომ საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

მოსამართლეთა შეთანხმების (მოლაპარაკების) შემდეგ ბატონმა თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ საქმის გარშემო რეზოლუცია გამოიცემა 16 მაისს, დღის 12 საათზე [Протоколь судебного заведание Кутайского окруженого суда по гражданскому отделению. 1907 года, мая 2-го дня] საბოლოოდ ამ სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ საქართველოს ეროვნული არქივის მიერ მოწოდებულ ცნობაში აღნიშნულია რომ „1907 წლის 2-16 მაისს განიხილა რა საქმის გარემოებანი, მოისმინა მხარეთა განმარტებანი და პროკურორის თანაშემწის (ამხანაგის) დასკვნა, სასამართლომ დაიცვა თვით ფლობის ფაქტი, აღადგინა მოსარჩლეთა მიერ ბათუმის ოლქის კინტრიშის ნაწილის სოფ. ბობოყვათში მდებარე მამულის მფლობელობა და გადასცა იგი მოსარჩლეთ... მამულის (სათესი მიწების) ზომაა დაახლოებით 200 დესეტინა, საღზვრებში: – დასავლეთით – გზა, სახელწოდებით დევრიშ-ფაშა, ჩრდილოეთით – ალი ბეგ ჩიჯავაძის მემკვიდრეთა მიწა, სამხრეთით – ლიუბოვსკის და სოლოვცოვის მიწები, ჯიათის გზა და ჯიათის ღელე და აღმოსავლეთით შუაღელე და დეხვა.

იქვე მითითებულია, რომ „კინტრიშის (უბნის – ავტ.) უფროსის 1882 წლის პატაკში აღნიშნულია, რომ ხუსეინ ზარალ-ოღლი (მიქელაძე – ავტ.), რომელიც იმ დროისათვის იმყოფებოდა ახმედ ზარალ-ოღლის ნაკვეთზე, ფლობდა სახნავი მიწის ნაკვეთებს, რომლებიც მისმა ბაბუამ მიიღო ცოლის – მანელ-ოღლის ქალის მზითევში... [საქ-ის იუსტიციის სამინისტრო, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, საქართველოს ეროვნული არქივი, ქუთაისის ცენტრალური არქივი, AA201301507203, საარქივო ცნობა, 08, 05. 2013, 17:57:09] კავკასიის სამხედრო ოკრუგის ბათუმის ოლქის კინტრიშის უბნის უფროსის 1882 წლის 30 სექტემბრის პატაკშიც (N1538; დედანი წარმოდგენილია თბილისის სასამართლო პალატის მიერ 1900 წლის 19 ოქტომბერს – ბათუმის ოკრუგის უფროსის პატაკი) აღნიშნულია, რომ „რეჯებ ბააკ-ოღლი და გულ ახმედ ბააკ-ოღლი ასევე ფლობენ სახნავ მიწებს, რომლებიც ბაბუამ მიიღო ცოლის მზითევში“. ამავე დოკუმენტში გადმოცემულია კიდევ ერთი ფაქტი, რუსეთის იმპერიის ადგილობრივ ჩინოვნიკთა მიერ მანელ-ოღლების და ადგილობრივ მფლობელობისადმი კიდევ ერთი უპატივცემულობისა და მათ მიმართ თვითნებობის გამოხატულებისა.

სარგებლობს რა ადგილობრივ მიწათმფლობელობის საკითხში თურქული კანონმდებლობით, რუსი ჩინოვნიკი აღნიშნავს: „...მიწის მთელი დანარჩენი სივრცე, რომელზედაც პრეტენზიას აცხადებენ მანელ-ოღლები, ბააკ-ოღლი, ზარალ-ოღლი ტყით და ბუჩქნარითაა დაფარული, ხოლო მე-4 პუნქტში ჩამოთვლილი სახნავი მიწის ნაკვეთები, გარდა მცირედი მათგანისა, არ მუშავდება უკანასკნელი ომის დაწყებიდან.

ვაუწყებ რა ყოველივე ზემოთ აღნიშნულს თქვენს მაღალკეთილშობილებას, მაქვს პატივი, რომ მიწა, რომლის გამოყოფაზეც შუამდგომლობს აგრონომი კოჩეტოვი, ნაწილობრივ – ტყით, ნაწილობრივ მუჩქნარითაა დაფარული, მათგან თავისუფალი სივრცე კი 1877 წლის ომის დაწყებიდან არ დამუშავებულა, ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ შემატყობინოთ წერილობით გამოვუყოთ თუ არა აღნიშნული მიწა ბატონ კოჩეტოვს, ვინაიდან მას სურს სწორედ მისი იჯარით აღება“... [К. В. О. Батумский область, начальник Кинтришского участка, «30» сентября 1882 года, № 1538; 25 октября 1906 г. копия с копии; Господин Начальнику Батумского Округа Рапорть]. მთელი დავიდარაბა და სასამართლო პროცესები გამოიწვია აღნიშნულ დოკუმენტზე გაკეთებულმა უკანონო და თვითნებურმა შემდეგმა რეზოლუციამ. „ამ პატაკით სამხედრო გუბერნატორისათვის მოხსენების მიხედვით მისმა უდიდებულესობამ ბრძანა: დატოვებულ იქნას მანელ-ოღლებისა და ბააკ-ოღლების სარგებლობაში მხოლოდ ის მიწები იმათგან, რომლებზეც მათ პრეტენზია გააჩნიათ, რომლებიც იმყოფებოდა მათ ფაქტიურ მფლობელობაში და ჩამოთვლილია ამ პატაკის მე-4 პუნქტში. ხოლო მთელი დანარჩენი მიწა და ტყეები ჩაითვალოს სახაზინოდ და მათ მოეპყრონ ამ საგანზე არსებული განკარგულების თანახმად, ანუ გაიცეს დრომდე იჯარით...“ რომლითაც 1879 შლის შეთანხმების ყვე-

ლა პუნქტი მიწათმფლობელობისა და მისით სარგებლობის შესახებ დარღვეული და უგულებელ-ყოფილია.

საინტერესოა რით უნდა ყოფილიყო გამოწვეული რუსეთის იმპერიის მესვეურთა ასეთი განსხვავებული პოლიტიკა და მიდგომა რუსეთში გადასახლებულ და მოღვაწე მანველოვებისა და თავის სამშობლოში დარჩენილი მანველ-ოღლებისადმი.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ რუსეთში გადასახლებულ და იქ მოღვაწე მანველოვების ლოიალობა და რუსეთის სახელმწიფოს ერთგულ სამსახურის შეგნება მათთვის წარმატებისა და კარიერული წინსვლის უმთავრესი გარანტია იყო, რასაც კარგად ხედავდა და კიდეც აფასებდა რუსული სახელმწიფოს მმართველი გარემოცვა. საქართველოში კი მათ მიმართ გარკვეული უნდობლობა და ეჭვები უნდა დაეთესა. 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომებში სწორედ მანველ ოღლების სამფლობელოში განცდილ ორ საკმაოდ მნიშვნელოვან სამხედრო წარუმატებლობას, რომელიც თითქმის ერთადერთი იყო ამ საომარი კამპანიის დროს. ამასთან ამ რეგიონის სხვა წარჩინებულთაც არ გამოუჩენიათ განსაკუთრებული სიმპატია, და მორჩილების სურვილი რუსული სამხედრო აგრესიისადმი, პირიქით, სწორედ ქობულეთელთა სამხედრო შემართება და მათი სიმტკიცე იქცა ამ რეგიონში რუსეთის უეჭველი მარცხის მიზეზად. ამიტომაც, ამ კუთხეში რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ, ალბათ, საჭიროდ იქნა მიჩნეული აქ ისეთი ღონისძიებების გატარება და ისეთი გარემოს შექმნა, რომელშიც ადგილობრივი წარჩინებულები თავს მყარად და უსაფრთხოდ ვერ იგრძნობდნენ. ამიტომ გამოეცხადა ბრძოლა მათ ყველანაირ უფლებებს, და მათ შორის, მიწისმფლობელობის უფლებებს, აღნიშნულ რეგიონში.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

В. Цихинский Кавказский гербовник Тавадские роды (рукопись), Петроградь, 1922 г. стр. 27: С. Думин, П. Гребельский Дворянские роды российской империи, изд. Ликоминвесть т. IV, М., 1998 г. ст. 171;

1824-6. 04-1906. 2. 04] 1. Манвеловы, энциклопедический словарь Брокгауза и Европа: в 86 м. (82 м. и 4 доп.). – СПБ., 1890-1907; 2. https: //ru.Wikipedia. org/ W/index. php? title=Манвелов, Александр Николаевич&oldid=123989427];

საქ. მეცნ. ეროვნული აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის კომისია, მეორე, შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2016, 2016:46;

Манвеловы – Энциклопедический словарь Брокагауза и Ефрона: в 86 м. (82 м. и 4 доп.], СПБ, 1790-1907; Список генерал-адиутантом Свиты Его величество, генерал-майорам, флигель-адъютантам, и генералитета, состояниам при Особе его величества. Исправлено по 1 июня – СПБ; Военная типография, 1875.-С. 194; Ианайлов Э.Э. Золотое оружие с надписью «За храбрость». Списки кавалеров 1788-1913,-М., 2007, стр. 318: ЦТИФ СПБ. Ф. 19, оп. 123, д. 18; წყარო: https: º ru. Wikipedia. org /W/indeks. php?) .

title=Манвелов, Александр Николаевич& oldid=123989427. Манелов Александр Николаевич Википедия).

კავკასიის სამხედრო ოკრუგის, ბათუმის ოლქის, კინტრიშის უბნის უფროსის 1882 წლის 30 სექტემბრის N 1538 პატაკი;

ბატონ ბათუმის ოკრუგის უფროსს პატაკი

23 სექტემბრის N 2200 მოწერილობაზე;

К. В. О. Батумский область начальник Кинтришского участка, 30 ноября 1882 г. № 1538;

Д. № 316, 1906 г. ст. 1, Протоколь заседания 1906 года сентября 18-го дня, Кутайский Окружный судь, в публичном заседании, по Грожданскому отделению Д. № м316 1906 г. 1906 года сентября 18го дня, по указу его Императорского величества, Кутайский Окружной судь, по гражданскому отделенью, в составе:

Товарищ: председатель: М. Н. ნიკოლსკი

Членов суда У.М. Нивинский, помощ. мир судыи Р. И. Шашнов)

Прокурор Н. А. Толпило

Секретар: Н. А. Ахвледиани

1906 წლის 24 მაისის ქუთაისის სამხარეო სასამართლოს სამოქალაქო განყოფილების სხდომის ოქმი;

1906 წ. Кутайский окружной судь… отзив на Заочной решение;

Протоколь судебного заведание Кутайского окруженого суда по гражданскому отделению. 1907 года, мая 2-го дня;

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, საქართველოს ეროვნული არქივი, ქუთაისის ცენტრალური არქივი, AA201301507203, საარქივო ცნობა, 08, 05. 2013, 17:57:09;

К. В. О. Батумский область, начальник Кинтришского участка, «30» сентября 1882 года, № 1538; 25 октября 1906 г. копия с копии; Господин Начальнику Батумского Округа Рапорть;